



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### მავრიკიოსი

მავრიკიოსი (Maurikios) (539-602), ბიზანტიის იმპერატორი (582-602). 591 მიეხმარა ირანის შაჰ ხოსრო II-ს აჯანყების ჩახშობაში, სამაგიეროდ ხოსრო II-მ ბიზანტიის იმპერატორს დაუთმო სომხეთის დიდი ნაწილი და ქართლი თბილისამდე. ქართლის ერისმთავარმა სტეფანოზ I-მა მ-ისგან პატრიკიოსის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული მიიღო, მისი სახლის უფლისწულებს – ძმას (დემეტრე) და შვილს (ადარნასე) ვიპატოსის, ხოლო შვილიშვილს (ქობულ-სტეფანოზი) სტრატილატის ტიტულები უბოძა.

ლიტ.: ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII სს-ში, წგ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი, ტ. 2, თბ., 1999.